

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ების
კატალოგი

თბილისი

2022

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სამრეწველო ავტომატიზაცია

პროგრამის მოცულობა კრედიტები:

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 120 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 150 კრედიტი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში/High Vocational Qualification in Electronic Equipment Exploitation

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სამრეწველო ავტომატიზაციის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სამრეწველო ავტომატიზირებული სისტემების დაგეგმვასა და ინსტალაციას, მანქანა-დანადგარების დიზაინს, პროგრამირებასა და პარამეტრების შეყვანას, ტესტირებასა და გამართვას, ექსპლუატაციას, დიაგნოსტიკასა და შეკეთებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. შეარჩიოს და დააინსტალიროს პროგრამული უზრუნველყოფა;
2. დაუკავშიროს პროგრამირებადი მოწყობილობები საწარმოო სისტემასთან;
3. დააპროგრამოს წარმოებასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები;
4. გატესტოს და გამართოს ავტომატიზირებული სამრეწველო მანქანა/დანადგარები;
5. გაუწიოს ექსპლუატაცია და მოახდინოს ავტომატიზირებული სამრეწველო მანქანა/დანადგარების დიაგნოსტიკა;
6. გააუმჯობესოს ავტომატიზირებულ სისტემები და მოახდინოს მათი ადაპტირება;
7. გაუწიოს მონიტორინგი ავტომატიზირებული სისტემების მუშაობას.

შეფასების წესი

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

	<p>არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:</p> <p>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.</p>
	<p>ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით: მართლმეტყველება</p> <ul style="list-style-type: none"> • საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა; • სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება; • მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად; • ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა; • ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა). <p>მართლწერა</p> <ul style="list-style-type: none"> • საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება; • ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება; • პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება; • წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა; • არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები; • ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.
<p>საკონტაქტო პირი: ლაშა იაშვილი ტელ: 555 33 71 74 ელ. ფოსტა: liashvili@gtu.ge მისამართი: ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მ.კოსტავას N77, VI სართული, ოთახი 227 დ</p>	